balance and wellness

GUNA
terapie d'avanguardia

# Gunabasic

## მინერალური და მჟავა-ტუტოვანი ბალანსი




გლუტენის გარეშე

# რატომ Gunabasic

ორგანიზმის ჰომეოსტაზის ძირითადი მაჩვენებლებია: ტემპერატურა, ოქსიგენაცია, გლიკემია და მჟავა-ტუტოვანი წონასწორობა (pH). მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია pH-ი, რომელიც მუდმივ კონტროლს საჭიროებს.

უჯრედშიდა და უჯრედგარე pH-ის ფიზიოლოგიურ ფარგლებში შენარჩუნება და რეგულაცია აუცილებელი პირობაა უჯრედის ფერმენტული, მეტაბოლური პროცესების შესანარჩუნებლად. pH-ის მაჩვენებლის (სისხლის pH=7,41) სულ მცირე ცვლილებამაც კი შეიძლება სერიოზული მეტაბოლური დაზიანება, ხოლო ამ მდგომარეობის ხანგრძლივმა მიმდინარეობამ მკურნალობის გარეშე დეგენერაციული დაავადებები გამოიწვიოს.




Gunabasic აღადგენს ფიზიოლოგიურ pH-ს ორგანიზმის ჰოემოსტაზის შენარჩუნების გზით.

## მინერალური და მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის ფიზიოლოგიური კონტროლის მექანიზმი

ორგანიზმის ფიზიოლოგიური მეტაბოლიზმის პროცესში წარმოიქმნება კატაბოლიზმის პროდუქტები, რომლებიც ძირითადად მჟავა ნაერთებია. ისინი ძირითადად ელიმინირდება: ფილტვებით (აქროლადი მჟავები) და თირკმლებით (მეტაბოლური მჟავები).

ყველა ფიზიოლოგიური ფუნქცია დამოკიდებულია სრულფასოვან მჟავა-ტუტოვან წონასწორობაზე. ეს პროცესი საჭიროებს უწყვეტ და მუდმივ ადაპტაციას, რომელიც ზოგჯერ არასაკმარისია. ბალანსის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს ქსოვილების ჭარბი გამჟავიანობა და არაჯანსაღ მდგომარეობამდე მიყვანა.

როდესაც ცილების ჭარბი კატაბოლიზმის გამო წარმოიქმნება ჭარბი რაოდენობით მჟავა, მაგალითად ძლიერი დაღლილობის, ცხელების, ხანგრძლივი უჭმელობის, დაბერების, ან დიდი რაოდეონობით შაქრის (ტკბილეულის) და ცხოველური ცილის (>30გ/დღე) მიღების დროს, გამომყოფი ორგანოები ვერ ახდენენ ფიზიოლოგიური მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის შენარჩუნებას.



ჰომეოსტაზის შენარჩუნების მიზნით ხდება დამხმარე მექანიზმების ბუფერული სისტემების აქტივაცია (კარბონატები, ფოსფატები, ციტრატები და ა.შ.) და წყალბადის იონების (H+) დაგროვება უჯრედგარე მატრიქსში.

ფიზიოლოგიური ბუფერული სისტემების წარმოქმნის უნარი შეზღუდულია. თუ მეტაბოლური აციდოზი დიდხანს გრძელდება, ორგანიზმი იწყებს საჭირო იონების Na+ და Ca++ აქტიურ გამოყენებას, რომ მოახდინოს აციდოზის კომპენსირება. შედეგად ქვეითდება ამ მინერალების რესურსი, რაც იწვევს ზოგიერთი დაავადების განვითარებას, მაგალითად, ოსტეოპოროზი.

*მჟავა-ტუტოვან ბალანსში საკვანძო როლს თამაშობს უჯრედგარე მატრიქსი. მჟავე კატაბოლიტები აკუმულირდებიან მასში დღისით, ხოლო თირკმელების მეშვეობით გამოიდევნება ორგანიზმიდან ღამით.*




უჯრედშორის მატრიქსს გააჩნია უნარი შექმნას მჟავას მარაგი, მაშინ როდესაც თირკმლის ფილტრაციის უნარი ბევრად შეზღუდულია (ნეფროლითიაზის რისკი). ამიტომ სხვაობა მჟავას დამარაგებასა და თირკმლის ექსკრეტორულ უნარს შორის შეიძლება გაიზარდოს და გამოიწვიოს მატრიქსში ამ ნაერთების ჭარბი დაგროვება. ორგანიზმი ცდილობს მოახდინოს მეტაბოლური აციდოზის კომპენსირება ფიზიოლოგიური ბუფერული სისტემის აქტივაციით. როგორც კი ეს სისტემები ვერ მოახდენენ ჭარბი წყალბადის იონების (H+) კომპენსაციას, განვითარდება ქსოვილების ქრონიკული აციდოზი, რაც იწვევს უჯრედის სიცოცხლისათვის შეუთავსებელ მდგომარეობას და შემდგომ კვდომას ან დეგენერაციას.

**Gunabasic-ის ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ ᲛᲔᲢᲐᲑᲝᲚᲣᲠᲘ ᲐᲪᲘᲓᲝᲖᲘᲡ, ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲡᲝᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲡᲐᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ**

# აციდოზის შედეგები

ქრონიკულმა აციდოზმა შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზმის ყველა ქსოვილის და უჯრედის ფუნქციის დაქვეითება. ეს გულისხმობს ნაადრევ დაბერების პროცესს, ფიზიკური და ფსიქიკური ენერგიის დაქვეითებას, ხასიათის ცვლილებას, სტრესს, ჭარბ წონას და ასევე, დაგვიანებულ პასუხს ფარმაკოლოგიურ მკურნალობაზე.

| | |
|---|---|
| ნერვული სისტემა | • გაღიზინებადობა • გულის რითმის ცვალებადობა • მღელვარება • თავის ტკივილი და შაკიკი • აგრესიულობა • უძილობა • ჰიპერკინეზია |
| სხეულის საფარველი სისტემა | • სებორეა • ჰიპერჰიდროზი • ეგზემა • მიკოზი • მსხვრევადი ფრჩხილები და თმის ცვენა |
| ენდოკრინული სისტემა | • ჰიპერთირეოზი • დიაბეტი • მენსტრუალური ციკლის დარღვევები • სტერილობა • ჰიპერქოლესტერინემია • ურიკემია |
| საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა | • ართროზი • რევმატიული დაავადება • ოსტეოპოროზი • პოდაგრა • კუნთების ტკივილი • კრამპები |
| საჭმლის მომნელებელი სისტემა | • კუჭის მომატებული მჟავიანობა • მეტეორიზმი • დისპეფსია • გასტრიტი • ნაღვლის ბუშტის კენჭები • კვების შემდგომი ძილიანობა |
| სხვა სისტემები | • იმუნური დეფიციტი • კარიესი • ჰალითოზი (ფეტორი) • პაროდონტიტი • ვარიკოზი • ყაბზობა • მუდმივად სიცივის შეგრძნება • კონიუნქტივიტი. უროგენიტალური და ყელ-ყურ-ცხვირის ანთება • კანდიდოზი • ლორწოვანი გარსების ანთება |



# როგორ მოქმედებს Gunabasic?

## მოქმედების მექანიზმი:

- აღადგენს ბუფერულ სისტემებს
- ახდენს უჯრედგარე მატრიქსის გატუტიანებას
- არეგულირებს წყალბადის იონების უჯრედშიდა და უჯედგარე წონასწორობას
- აუმჯობესებს უჯრედის მემბრანის განვლადობას
- უჯრედის სწორი ფუნქციონირებისათვის უზრუნველყოფს ფერმენტულ აქტივობას მინერალებით
- იცავს ქსოვილს მჟავების დეგენერაციული ზემოქმედებისგან

- აფერხებს ქრონიკულ ანთებით პროცესს
- ახდენს ორგანიზმის დეტოქსიკაციას
- ეხმარება საჭმლის მონელებას
- აღადგენს მინერალურ ბალანსს
- აფერხებს ქსოვილის დეგენრაციას
- აუმჯობესებს უჯრედის მეტაბოლურ ფუნქციას
- ხელს უწყობს უჯრედის დეტოქსიკაციას
- ინარჩუნებს მატრიქსის მთლიანობას

# როდის არის Gunabasic აუცილებელი?

აქვეითებს მეტაბოლურ აციდოზსს მჟავა-ტუტოვანი ბალანსის აღდგენით, უზრუნველყოფს უჯრედის მინერალურ და მეტაბოლურ ბალანსს უჯრედების საჭირო მიკრო ელემენტებით შევსებით. აფერხებს ქრონიკული ანთებითი და დეგენერაციული პროცესების განვითარებას, რაც ორგანიზმისათვის ჰომეოსტაზის შენარჩუნებას, საბოლოოდ კი, ჯანმრთელობის აღდგენას ნიშნავს.

Gunabasic იდეალურია:

- ყველა ასაკისთვის, განსაკუთრებით 50 წლის შემდეგ
- თუ გაქვთ ძვლის დაავადების დიაგნოზი (განსაკუთრებით ოსტეოპოროზი)
- თუ გაქვთ ქრონიკული ანთებითი დაავადების დიაგნოზი (რევმატიული დაავადება, პოდაგრა, ართრიტი, ნაწლავის ანთებითი დაავადება, კანდიდოზი და ა.შ.)
- თუ იკვებებით ცილებით მდიდარი საკვებით ან ღებულობთ დიდი რაოდენობით ცილოვან დანამატებს
- თუ ეწევით, ღებულობთ ალკოჰოლს, გაქვთ მჯდომარე ცხოვრების წესი ან ხართ ძლიერი სტრესის ქვეშ
- თუ ხართ სპორტსმენი და ყოველდღიურად გიწევთ ზედმეტად ინტენსიური ფიზიკური დატვირთვა
- თუ იკვებებით დაბალკალორიული საკვებით
- თუ სვამთ დიდი რაოდენობით უალკოჰოლო ან სხვა გაზიან სასმელებს
- თუ იღებთ დიდი რაოდენობით ნახშირწყლებს ან ტკბილეულს
- ან აპირებთ ნებისმიერი ფარმაკოლოგიური მკურნალობის ჩატარებას





# რატომ არის Gunabasic იდეალური?

- ის არის ორიგინალური, სინერგიულად მოქმედი **მინერალების და მცენარეული ექსტრაქტების** სრულფასოვანი ნაერთი
- შეიცავს **ფოსფატებს, კარბონატებს** და **ციტრატებს** კარგად დაბალანსებული კონცენტრაციებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზმის მთელი რიგი ბუფერული სისტემების რეგულაციას და იცავს ნებისმიერი, შესაძლო გვერდითი ეფექტისაგან.
- უზრუნველყოფს **pH-ის წონასწორობის აღდგენას**
- აღადგენს **მინერალურ ბალანსს**
- აქვს **დეგენერაციის, ანთების საწინააღმდეგო, დამამშვიდებელი** და **მადის მარეგულირებელი** მოქმედება



| მინერალური შემადგენლობა | მოქმედება |
| --- | --- |
| მაგნიუმის ციტრატი (MAGNESIUM CITRATE) | გატუტიანება |
| კალიუმის ციტრატი (POTASSIUM CITRATE) | ელექტროლიტების წონასწორობის აღდგენა |
| ცინკის ციტრატი (ZINC CITRATE) | გატუტიანება, იმუნური სისტემის აქტივაცია |
| სპილენძის ციტრატი (COOPER CITRATE) | გატუტიანება, სისხლძარღვების კედლის დაცვა |
| კალციუმის კარბონატი (CALCIUM CARBONATE) | გატუტიანება, ანტიალერგიული |
| მანგანუმის კარბონატი (MANGANESE CARBONATE) | გატუტიანება, ტონუსის მომატება |
| სელენ მეთიონინი (SALENIUM METHIONINE) | ანტიოქსიდანტი, ანტიდეგენერაციული |
| რკინის ფოსფატი (IRON PHOSPHATE) | მიტოქონდრიის ფუნქციის სტიმულაცია |
| მაგნიუმის ოქსიდი (MAGNESIUM OXIDE) | გატუტიანება, სპაზმოლიზური |
| მოლიბდენის ამონიუმი (AMMONIUM MOLYBDENUM) | ანტიდეგენერაციული |

| მცენარეული შემადგენლობა | მოქმედება |
| --- | --- |
| ბამბუკის ბოჭკო (BAMBOO FIBEღ) | ძვლის მინერალზაცია, შემაერთებელი ქსოვილის ფუნქციის სტიმულაცია |
| ჭინჭრის (Urtica dioica) ფესვები, მშრალი ექსტრაქტი | ანთების საწინააღმდეგო, ანტიალერგიული |
| სტაფილოს (Daucus carota) ფესვები, მშრალი ექსტრაქტი, სტანდარტიზებული 1,8% ბეტა-კაროტინი | ვიტამინი A, ეპითელიუმის და ლორწოვანი გარსების დაცვა |
| ბარამბოს (Melissa afficinalis) ფოთლების მშრალი ექსტრაქტი, სტანდარტიზებული 2% როზმარინის მჟავა | დამამშვიდებელი, კუნთების რელაქსანტი |
| ცაცხვის (Tilia cordata), ყვავილის მშრალი ექსტრაქტი | დამამშვიდებელი, სპაზმოლიზური |
| ბიოფლავონოიდები | კაპილარების მატონიზებელი |
| დიდი კამის (ცერეცო, FoenicUlum vulgare) ნაყოფის მშრალი ექსტრაქტი, სტანდარტიზებული 1% ეთერზეთი | მეტეორიზმის საწინააღმდეგო, სპაზმოლიზური, მსუბუქი საფაღარათო |
| ბაბუაწვერას (Taraxacum officinale) ფესვების მშრალი ექსტრაქტი | ღვიძლის და თირკმლის დრენაჟი |

Gunabasic

# საკვანძო პოსტულატები

- ორგანიზმის მინერალური და მჟავა-ტუტოვანი ბალანსი სრულფასოვანი ჯანმრთელობის და ხანგრძლივი სიცოცხლის საწინდარია
- საკვები დანამატი არ არის მრავალფეროვანი, დაბალანსებული კვების და ჯანსაღი ცხოვრების წესის შემცვლელი



## საუკეთესო ხსნადობა

## სასიამოვნო არომატი

## კვებითი ღირებულება

| | 100 გრამში | ერთ საშეტში | % კვებითი ღირ.საშეტში |
|---|---|---|---|
| ენერგეტიკა | 275 კკალ 1157 კჯ | 19 კკალ 81 კჯ | |
| ცხიმი, მათ შორის | 0,40 გ | 0,03 გ | |
| ნაჯერი ცხიმები, არა უმეტეს | - | - | |
| ნახშირწყლები, მათ შორის | 57.18 გ | 4.00 გ | |
| შაქარი არა უმეტეს | 4.45 გ | 0,31 გ | |
| ცილა | 0.81 გ | 0.06 გ | |
| მარილი არა უმეტეს | 0.19 გ | 0.01 გ | |
| კალიუმი | 4286 მგ | 300 მგ | 15 |
| კალციუმი | 3429 მგ | 240 მგ | 30 |
| მაგნეზია | 2143 მგ | 150 მგ | 40 |
| სილიციუმი | 114 მგ | 8 მგ | - |
| ცინკი | 107 მგ | 7.5 მგ | 75 |
| რკინა | 100 მგ | 7 მგ | 50 |
| მანგანუმი | 71 მგ | 5 მგ | 250 |
| სპილენძი | 9 მგ | 0.6 მგ | 60 |
| მოლიბდენი | 714 მკგ | 50 მკგ | 100 |
| სელენი | 393 მკგ | 27.5 მკგ | 50 |
| ბეტა-კაროტინი | 51 მგ | 3.6 მგ | - |
| **მცენარეული ინგრედიენტები:** | 2.857 გ | 200 გ | |
| ჭინჭარი | 2.857 გ | 200 გ | |
| სტაფილო | 2.857 გ | 200 გ | |
| ბარამბო | 0.057 გ | 4 მგ | |
| *მათ შორის როზმერინის მჟავა* | 2.857 გ | 200 გ | |
| ცაცხვი | 2.857 გ | 200 გ | |
| დიდი კამა, ცერეცო | 2.857 გ | 200 გ | |
| ბაბუაწვერა | 2.857 გ | 200 გ | |

## შემადგენლობა

მალტოდექსტრინი, მაგნიუმის ციტრატი, კალიუმის ციტრატი, კალციუმის კარბონატი, ჭინჭრის ფესვები (Urtica dioica L.), სტაფილოს ფესვები (Daucus carota L.) სტანდარტიზებული 1,8% ბეტა კაროტინი, ბარამბოს ფოთლები (Melissa officinalis L.) სტანდარტიზებული 2% როზმარინის მჟავა, ცაცხვის ყვავილი (Tilia cordata Mill.), დიდი კამის ნაყოფი (Foeniculum vulgare Mill.) სტანდარტიზებული 1% ეთერზეთები, ბაბუაწვერას ფესვები (Taraxacum oficcinale Web.), მაგნიუმის ოქსიდი, რკინის ფოსფატი, ცინკის ციტრატი, სილიკონის დიოქსიდი, დამატკბობლები: სტევიოლის გლიკოზიდები; მაგნიუმის კარბონატი, ბამბუკის ბოჭკო (Bamboo fiber), სელენმეთიონინი, სპილენძის ციტრატი, ამონიუმის მოლიბდატი.

## მიღების წესი

ერთი პაკეტის შიგთავსი იხსნება ნახევარ ჭიქა წყალში და მიიღება დღეში ერთხელ. უმჯობესია საღამოს ძილის წინ ან საკვების მიღებებს შორის შუალედში.

## შეფუთვა

15 x 7 გ პაკეტი

## შენახვის პირობები

პრეპარატი ინახება გრილ, მშრალ და მზის სხივებისგან დაცულ ადგილას. ვარგისიანობის ვადა მითითებულია შეფუთვაზე და ვრცელდება კორექტულად შენახულ, დაუზიანებელ ორიგინალ პროდუქტზე. პრეპარატი ინახება ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას.

GUNA terapie d'avanguardia
www.guna.com
GUNA S.p.a. Via Palmanova 71-20132 Milano, Italy
tel.: +39 02 280181; e-mail: info@guna.it

Naturopath Bio-Pharmacy
www.naturopath.ge
ექსკლუზიური დისტრიბუტორი საქართველოში
შ.პ.ს „ნატუროპათი“, თბილისი - 0186
ალ. ყაზბეგის გამზ. 33, ტელ.: 2-394-987
ცხელი ხაზი: 2-477-911